ონის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მიერ, 2024 წელს დამტკიცებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

ონის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წლიური მუშაობის დაგეგმვის ძირითად ორიენტირს წარმოადგენს საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ". სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, დაიგეგმოს ისეთი საკითხები, რაც სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით - კანონის წინაშე თანასწორობა, დამოუკიდებელი ცხოვრება, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, მათი განათლება და სხვა, შშმ პირთა დაცვის გარანტიებს შექმნას შუწყობს ხელს მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრები შშმ პირებისათვის. 2024 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, განსაკუთრებული ყურადღება იქნა მიპყრობილი კანონის 35 მუხლით („მუნიციპალიტეტის ორგანოები/დაწესებულებები") განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად აქტივობების დაგეგმვას. მნიშვნელოვანია, რომ სამუშაო გეგმის შედგენაში, მის განხილვასა და მიღებული დადგენილებების შესრულებაში საბჭოს თითოეული წევრი აქტიურად არის ჩართული.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2024 წლის სამუშაო გეგმაში განისაზღვრა 6 ამოცანა, რომლის შესასრულებლადაც დაიგეგმა 16 აქტივობა, აქედან, შესრულდა 13 აქტივობა (დაგეგმილი აქტივობები: (1.1),(2.1.1.),(3.1.),(3.1.2.), (2.1.),(2.1.2.),(3.1.1.),(4.1.), (4.1.2.), (5.1. 6.1)), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მიერ 2024 წელს გამართულ სხდომებზე განხილულ საკითხთა შორის, 11 საკითხი გეგმიდან გამომდნარეობდა, ხოლო ხუთი საკითხი არაგეგმიური საკითხი იყო, ესენია:1. „ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2024 წლის სხდომებზე მიღებული დადგენილებების შესრულების კონტროლის ახალი ფორმის დანერგვის შესახებ (ოქმი N 2) მომხსენებელი **ლ. გამყრელიძე,** შშმ საბჭოს მდივანი, 2.საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების „ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტის" შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ (ოქმი N 1), მომხსენებელი: **მ. რაზმაძე** - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი; 3.შშმ საბჭოს სდომებზე მიღებული დადგენილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ,(ოქმი N4) 4. შშმ საბჭოს 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ (ოქმი N 4).5. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2024 წლის 4 აპრილის სხდომაზე (ოქმი N 1) მიღებული დადგენილების „ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს ყურადღება მიპყრობილი იქნას პერსონალური ასისტენტის პროგრამების 2025 წლის იანვრამდე, შეუფერხებელი განხორციელების მიზნით დაგეგმილი და დაუგეგმავი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ" - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსის ანგარიშის მოსმენა.

სულ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომებზე განხილული იქნა 16 საკითხი. განხილულ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული იქნა 18 გადაწყვეტილება. აქედან, 12 გადაწყვეტილება აყვანილი იქნა კონტროლზე. ასე მაგალითად, 2024 წლის 4 აპრილის N 1 ოქმის მიხედვით, კონტროლზე იქნა აყვანილი

პერსონალური ასისტენტის პროგრამის მიმდინარეობა, რომლის თაობაზედაც დეკემბრის თვეში სხდომამ განმეორებით მოისმინა სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსის ანგარიში, არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ამავე სხდომამ, ბავშის უფლებების დაცვისა და მხარდაჭრის განყოფილებას დაავალა, რომ დამატებით შეესწავლა სოფელ ცხმორში, მაისურაძეების ოჯახში მცხოვრებ ბავშვთა სოციალური და საყოფაცხოვრებო მდგომარეობა და წარმოედგინა ინფორმაცია ოჯახისათვის დამატებითი საჭიროებების დადგენასთან დაკავშირებით. მაისურაძეების ოჯახში დამატებით ჩატარდა მდგომარეობის შეფასება, შეივსო სკრინინგის ფორმები და შეფასებაზე დაყრდნობით, განხორიელდა სხვადასხვა სახის სოციალური ღონისძიებები ბავშვთა საჭიროებების დასაძლევად, მათ შორის, მნიშვნელოვანია, რომ სოფელში გაიხსნა ოჯახზე დაფუძნებული სკოლამდელი განათლების ალტერნატიული ცენტრი და ბავშები ჩაერთვენ სკოლამდელ განათლებაში.

საკითხის „ ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირი ქალებისა და გოგონების, ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების დაცვის ხლშეწყობა, არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით, მათი ცხოვრების დონის ამაღლება საქართველოს კანონის „შშმ პირთა უფლებების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შშმ პირთა კონვენციის გაცნობა“ 2023 წელს გაწეული მუშაობის ჭრილში“ განხილვის დროს, მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის უფროს სპეციალისტს საბჭომ დაავალა: 2024 წლის სამუშაო გეგმაში გაეთვალისწინებინა განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის, ასევე საზოგადოების წარმომადგენლებისთვის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ ცნობიერების სასმაღლებელი შეხვედრების დაგეგმვა და ჩატარება. განისაზღვრა დადგენილების შესრულების ვადა - 2024 წლის 31 მაისი. ქალთა ოთახის სპეციალისტმა, შშმ საბჭოს საკონტროლო ბარათით დროულად უპასუხა, სადაც წარმოდგენილია, შესრულების მდგომარეობის თაობაზე ინფორმაცია, თუ რა აქტივობები განხორციელდა დადგენილების შესასრულებლად,მითითებულ ვადაში. თუმცა მაისის თვის შემდეგ, კვლავ გაგრძელდა ამ მიმართლებით მუშაობა და დღემდე ქალთა ოთახმა სულ უმასპინძლა 461 ადამიანს, მათ შორის 362 ქალს, 67 კაცს და 32 ახალგაზრდას. ჩატარდა 16 სხვადასხვა თემატური შეხვედრა, ასევე, გასვლითი შეხვედრა. იმართებოდა სხვადასხვა თემატიკის მიხედვით, იმართებოდა +საინფორმაციო შეხვედრები, მოწვეული სპეციალისტების მიერ.

საბჭოს სხდომაზე განხილულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა „არცერთი 2-დან 18 წლამდე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვი განათლების ინკლუზიის გარეშე „ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისა და ბიოლოგიურ ოჯახში მათი ცხოვრებისათვის აუცილებელი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მდგომარეობა“, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა წარმოადგინა დადგენილების შესრულების თაობაზე ინფორმაცია, სადაც წარმოდგენილია არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებული ვითარება. აღსანიშნავია, ის, რომ 2-დან 18 წლამდე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა ბავშვი, ჩართულია სკოლამდელ განათლებაში, ასევე 6 წლიდან ზემოთ ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებაში. მუნიციპალიტეტში არცერთი ბავშვი არ არის სკოლის მიღმა დარჩენილი, მათ შორის შშმ ბავშვები.

შშმ საბჭოს 2024 წლის 21 ივნისის სხდომის N 2 ოქმის დადგენილებით, მერიის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭრის სამსახურს დაევალა დ. ბ.-ს (შშმ ბავშვი) მდგომარეობის კონტროლზე აყვანა და მუნიციპალური პროგრამებიდან ბავშვის ოჯახის დახმარება. დ. ბ. ს უკვე მიენიჭა შშმ პირის სტატუსი და აყვანილია ზედამხედველობაზე ქალაქ ქუთაისის შესაბამის ცენტრში და იქ იღებს სოციალურ დახმარებასთან ერთად, სამედიცინო დახმარებას.

10 დეკემბრის სხდომაზე (ოქმი N 4) განხილული იქნა საკითხი „მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირთათვის, ადრე აშენებული და მშენებარე შენობა-ნაგებობების მისაწვდომობის დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად გაწეული მუშაობის შესახებ". ონის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხებში, საბჭოს მოახსენა, რომ. მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, ადრე აშენებული და მშენებარე შენობა-ნაგებობების მისაწვდომობის დაცვის მდგომარეობასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N 732 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი-„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, გარკვეული მუშაობა განხორციელდა, განვლილ საანგარიშო პერიოდში. საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობების პროექტების შესყიდვის დროს, საპროექტო დავალებაში ყოველთვის იყო და სამომავლოდაც იქნება მოთხოვნა, რომ საპროექტო შენობა უნდა აკმაყოფილებდეს მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებს, ხოლო არსებული შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის დროს, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული შშმ პირთათვის ადაპტირებული, ადვილად მისაწვდომი საზოგადოებრივი სივრცის მოწყობა.

ბოლო პერიოდში შესყიდული პროექტებიდან, აღსანიშნავია ყოფილი საავადმყოფოს შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც შეძლებისდაგვარად აკმაყოფილებს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის მოთხოვნებს. სვლაგეზები, იატაკის ზედაპირები, კარის ზომები, ნიშანთა სისტემა, პანდუსი და ლიფტი, ასევე სველი წერტილები და სხვა, შეესაბამება სატნდარტის მოთხოვნებს, რაზედაც არსებობს შესაბამისი საექსპერტო დასკვნა.

მშენებლობის პროცესშია აგრარული ბაზარი, რომლის მშენებლობა დაიწყო 2023 წელს, ხოლო მისი დასრულება 2025 წელს იგეგმება. პროექტით გათვალისწინებულია პანდუსი, ასევე ლიფტი და სველი წერტილები, რაც შშმ პირებზე სრულად იქნება ადაპტირებული და დააკმაყოფილებს მისწავდომობის ეროვნული სტანდარტის მოთოვნებს.

მიმდინარეობს შეუბნის ყოფილი ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლის დასრულება იგეგმებოდა 2024 წელს. აქ გათვალისწინებულია პანდუსისა და შშმ პირებზე ადაპტირებული გარემოს მოწყობა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2024 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მდგომარეობის შეფასების მიზნით, საანგარიშო პერიოდში გაიმართა ოთხი სხდომა.

პირველ სხდომაზე, რომელიც 2024 წლის 4 აპრილს გაიმართა, განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1. „ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირი ქალებისა და გოგონების, ასევე ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების დაცვის ხელშეწყობა, არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით. მათი ცხოვრების ამაღლება საქართველოს კანონის შშმ პირთა უფლებების მიმართ, ასევე შშმ პირთა უფლებების კონვენციის გაცნობა „ 2023 წელს გაწეული მუშაობის ჭრილში (1.1) **ელენე ჩიკვილაძე** - მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის სპეციალისტი;

2.არცერთი 2-დან 18 წლამდე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვი, მათ შორის შშმ ბავშვები განათლებაში ინკლუზიის გარეშე. საზოგადოებრივ ცხოვრებაში უწყვეტი მონაწილეობისა და

ბიოლოგიურ ოჯახში მათი ცხოვრებისთვის აუცილებელი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მდგომარეობა (2.1.1.) **თამარ ლობჯანიძე** - ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი;

3.მუნიციპალიტეტის მიერ კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად შესაბამისი პროგრამების შემუშავების პროცესში, შშმ პირთა ჩართულობის მდგომარეობის შესახებ (3.1); **თამარ ხომასურიძე**- მერის მრჩეველი სამოქალაქო საკითხებში, **მირანდა მეტრეველი** - მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსი;

4.ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლისა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გაწეული მუშაობის შესახებ (3.1.2) **თამარ ლობჯანიძე** - ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი;

5.საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების „ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისი მართვის სტანდარტის“ შესაბამისად. ონის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ **მარიამ რაზმაძე** - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი;

მეორე სხდომა 2024 წლის 21 ივნისს გაიმართა, სადაც განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ ბავშვებისათვის სხვა ბავშვების მსგავსად თანაბარი უფლებების დაცვისა და მოპყრობის რეალიზების მდგომარეობა. მათთან დაკავშირებული პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების მდგომარეობა (2.1.) **თამარ ლობჯანიძე** - ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი; **მარიამ რაზმაძე** - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი

2. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შშმ ბავშვების უგულვებელყოფის ფაქტების მინიმუმდე შემცირების მდგომარეობის შესახებ, აღრიცხვის მდგომარეობა და შშმ საბჭოს მიერ მათი უფლებების დაცვის კონტროლზე აყვანა (2.1.2. **ლამარა გამყრელიძე** - განათლების მიმართულებით უფროსი სპეციალისტი;

3. ბაგა-ბაღის დირექტორის ანგარიშის მოსმენა ადრეული ჩარევის და ინკლუზიის მიმართულებით გაწეული მუშაობის თაობაზე მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. (3.1.1.) **მზია გუგეშაშვილი** - ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის დირექტორი;

4.ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინკლუზიის მდგომარეობა- ონის საგანმანათლებლო რესურცენტრის მეთოდისტის ლია მაისურაძის ინფორმაციის მოსმენა. (3.1.1.) **ლია მაისურაძე** - ონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მეთოდისტი;

5. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2024 წლის სხდომებზე მიღებული დადგენილებების შესრულების კონტროლის ახალი ფორმის დანერგვის შესახებ. **ლამარა გამყრელიძე** - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მდივანი;

მესამე სხდომა 2024 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა. სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1.დადგენილების „ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად, შშმ პირთა უზრუნველყოფა მედიკამენტებით, ჰემოდიალიზის კომპონენტით და სოციალური დახმარების გაცემით, 2024 წლის განვლილ პერიოდში. (4.1.1.) **მარიამ რაზმაძე - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი;**

2.„ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის თაობაზე, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახებისთვის მატერიალური და არამატერიალური დახმარების გაწევის მდგომარეობასთან დაკავშირებით, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსის ანგარიშის მოსმენა. (4.1.2.) **თამარ ლობჯანიძე - ბავშვის უფლებების დაცვისა და მხადაჭერის განყოფილების უფროსი;**

3.ინდივიდის საჭიროებების შეფასებაზე დაფუძნებული სააბილიტაციო და სარეაბილიტაციო სერვისებისა და პროგრამების მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე შეთავაზებისა და განხორციელების შესახებ, საქართველოს პარლამენტის დადგენილების „ბავშვთა განვითარებისკენ მიმართული ადრეული ჩარევის სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად გაწეული მუშაობის შესახებ. **ლამარა გამყრელიძე** - მერიის სამსახურის განათლების მიმართულებით უფროსი სპეციალიტი.

მეოთხე სხდომა 2024 წლის 10 დეკემბერს შედგა, რომელმაც მოისმინა

1.მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირთათვის, ადრე აშენებული და მშენებარე შენობა-ნაგებობების მისაწვდომობის დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად გაწეული მუშაობის შესახებ. **შორენა ბიძიშვილი** -სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხებში;

2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2024 წლის 4 აპრილის სხდომაზე (ოქმი N 1) მიღებული დადგენილების „ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს ყურადღება მიპყრობილი იქნას პერსონალური ასისტენტის პროგრამების 2025 წლის იანვრამდე, შეუფერხებელი განხორციელების მიზნით დაგეგმილი და დაუგეგმავი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ“ - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსის ანგარიშის მოსმენა. **მარიამ რაზმაძე** - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი;

3. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მიერ 2024 წელს გამართულ სხდომებზე მიღებული დადგენილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ. **ლამარა გამყრელიძე** - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მდივანი;

4.შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ. **ლამარა გამყრელიძე** - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მდივანი.

დღეისათვის უკვე შემუშავებულია და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომაზეა განხილული, საბჭოს 2025 წლის სამოქმედო გეგმა. 2025 წელს კვლავ გაგრძელდება მუშაობა გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად, ასევე სხდომებზე მიღებული დადგენილებების შესასრულებლად.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს

თავმჯდომარე: სერგო ხიდეშელი